



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

10 ოქტომბერი 2012 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №210

საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქ. ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი“-სთვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „პ.ბ“ და „პ.გ“ ქვეპუნქტების, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19⁵ (პრიმა) მუხლის და „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“-ს შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დაკმაყოფილდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოთხოვნა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქ. ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი“-ს გადაეცეს სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, პირდაპირი განკარგვის წესით, მუდმივ სარგებლობაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საკონცერტო როიალი – Freres Diederichs St. Petersbourg, საბალანსო ღირებულებით 8350 (რვაათასსამასორმოცდაათი) ლარი.

2. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი ი.სიორიძის ქ.№14).

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. ოზურგეთი

10 ოქტომბერი 2012 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერი,

ერთის მხრივ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი საკრებულოს თავჯდომარის ალექო მამეშვილის სახით, (ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 17 ივნისის №5 განკარგულება, პირადი №33001009885 №ბ0929940) შემდგომში „ქონების გამცემი“ და

მეორეს მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი „ქ. ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი“ წარმოდგენილი დირექტორის ზაზა ჯინჭარაძის სახით (შემდგომში „ქონების მიმღები“) ვადგენთ წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ რომ, „ქონების გამცემი“ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებული უფლებამოსილებების შესაბამისად გადასცემს, „ქონების მიმღებს“ სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, პირდაპირი განკარგვის წესით, მუდმივ სარგებლობაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საკონცერტო როიალის – Freres Diederichs St. Petersburg.

ქონების მიმღებმა მიიღო ქონება ბალანსზე ასაყვანად.

აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელმოწერით:

„ქონების გამცემი“

„ქონების მიმღები“

(ხელმოწერა)

(ხელმოწერა)

ალექო მამეშვილი

ზაზა ჯინჭარაძე